აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2019 წლის საშემოდგომო სესიიდან **2020** წლის საშემოდგომო სესიამდე

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის კომიტეტი ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: უზრუნველყოფდა საკანონმდებლო საკითხების მომზადების ხელშეწყობას, კონტროლს უწევდა უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას, შეიმუშავებდა სავალდებულო დასკვნებს, კანონპროექტებსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ საკითხებზე.

ანგარიშში ასახულია **2019** წლის საშემოდგომო სესიიდან **2020** წლის საშემოდგომო სესიამდე კომიტეტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა. წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი
კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე დავით თედორაძე

კომიტეტის წევრები: მერაბ კარანაძე
ცოტნე ანანიძე
ასმათ დიასამიძე
გიორგი ცინცქილაძე

საკანონმდებლო საქმიანობა

- კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 15 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ჩაატარა 10 სხდომა და განიხილა 18 საკითხი;
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მიღებული იქნა 29 მოქალაქე;
- კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა 146 კორესპონდენცია;
- კომიტეტიდან გაიგზავნა 112 კორესპონდენცია.

კანონპროექტები, რომელიც შემუშავდა კომიტეტში

1. კომიტეტში გადამუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისის პლენარულ სხდომაზე მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ცვლილებებით გასწორდა მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიღებით შესაძლებელი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლების სფეროში სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების დარეგულირება, კანონის პროექტში გაწერილია მეცნიერების, უმაღლესი, ზოგადი, პროფესიული, არაფორმალური, ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშეწყობის პირობებზე და კონტროლის განხორციელების რეგულაციებზე.

კანონი მიღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ

2. კომიტეტში შემუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - ,,კულტურის მხარდაჭერის შესახებ“.

კანონპროექტი მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სფეროების, მათ შორის - კულტურის მხარდამჭერი ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის მიღებას,

რაც გაზრდის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის სფეროს მხარდაჭერის საკანონმდებლო გარანტიებს; ასევე კულტურის დაფინანსების მდგრადი და გამჭვირვალე მექანიზმების მხარდაჭერასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ძირითადი მიზნებისა და პრინციპების განსაზღვრას.

კანონის პროექტი განსახილველად წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან

- კომიტეტის თავმჯდომარემ მოინახულა ბათუმის მე-6 სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა. პროექტის მიხედვით, 540 მოსწავლეზე გათვლილ 3-სართულიან ადაპტირებულ შენობაში განთავსდება სასწავლო, საგნობრივი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული და სააქტო დარბაზები, სასადილო. მშენებლობა დასრულდება 2021 წლის სექტემბერში და ის ნაწილობრივ გადაჭრის სკოლებში გადატვირთულობის პრობლემას.
- კომიტეტის თავმჯდომარემ დაათვალიერა ბათუმის „განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ მშენებლობა. „განათლების ქალაქი“ მოიცავს მათემატიკურ სკოლას, 100 ახალგაზრდაზე გათვლილ საერთო საცხოვრებელს, ხელოვნების სკოლას, პროფესიულ სასწავლებელს და სხვ.
- კომიტეტის თავმჯდომარე მონაწილეობდა - სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში საქართველოს ჩემპიონატებში, პირველობებში და ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების დაჯილდოების ცერემონიალში.
- დაათვალიერა - ბათუმის უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსისა და ტექნოპარკის მშენებლობის მიმდინარეობა.
- მონაწილეობდა ,,Ajara cup 2019" ,,პსვ-ეინდჰოვენის" ფეხბურთელების, ტურნირის საუკეთესო მცველის გილარდის დაჯილდოების ცერემონიალში.
- დაესწრო სასტუმრო „შერატონში" გამართულ 2018 წლის საგნობრივ ოლიმპიადასა და კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მასწავლებლების დაჯილდოების საზეიმო ღონისძიებას.
- მონაწელეობდა ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალის პრეზენტაციის ცერემონიალში.

3. მგალობლიშვილი, ასევე აქტიურად მონაწილეობს ავტონომიურ რესპუბლიკაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, ხვდება მოსახლეობასა და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ მიერ დასმული საკითხების მოგვარებაში.

<u>კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის - დავით თედორაძის მიერ განხორციელებული აქტივობები:</u>

- მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 15 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანის ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნაში;
- მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 15 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანის საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო ცერემონიალში;
- მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 21 ნოემბერს ქ.ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე ,,იაპონური კულტურა";
- მონაწილეობა მიიღო 2019 წლის 22 ნოემბერს ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის საჯარო ლექციაზე ,,თავისუფლება და ადამიანი";
- 2019 წლის დეკემბერში მონაწილეობას ღებულობდა ქემალ თურმანიძის მიერ შექმნილ კერძო ეთნოგრაფიულ მუზეუმში შემოქმედებითი ინტელიგენციის მიერ გამართულ ღონისძიებებში;
- ინიციატივით გამოვიდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ზურაბ გორგილაძის ბიუსტის მომზადებასა და განთავსების ადგილის შერჩევაში. ბიუსტი გაიხსნება მიმდინარე წლის სექტემბერში;
- მონაწილეობა მიიღო მიმდინარე წლის 20 თებერვალს ხელოვნების უნივერსიტეტში წარმოდგენილ ირანული ხელოვნების გამოფენაში;
- აქტიური მონაწილეობა მიიღო 2020 წლის 2 მარტს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლონეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან შეხვედრაში;
- დ.თედორაძის ინიციატივით 2020 წლის 14-15 ივლისს მწერალთა 15 კაციანმა ჯგუფმა შემოქმედებითი გასვლით ეწვია იმერეთის ღირსშესანიშნავ ადგილებსა და შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკს.
- აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მისივე რედაქტორობით გამოცემულ საიუბილეო წიგნების საჯარო წარდგენაზე - ცისანა ანთაძის 7.08.2020, ბადრი თევზაძის 14.08.2020, იაშა თანდილავას 21.08.2020, შორენა დოლიძის 27.08.2020. ამასთან 16 აგვისტოს მოსწავლე-ახალგაზრობის პარკში უხელმძღვანელა ცნობილი ახალგაზრდა მხატვრის ივანე კეზუას პერსონალური გამოფენის მოწყობას.
- დ.თედორაძის ხელმძღვანელობით მზადდება წიგნი "აჭარა ქართულ პოეზიაში";

  ამასთან, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ავტონომიურ რესპუბლიკაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში, ხვდება მოსახლეობასა და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ მიერ დასმული საკითხების მოგვარებაში.

კომიტეტის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- ,,სტუდენტთა დახმარების~ ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- პროექტების - ,,სწავლა საზღვარგარეთ“, ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“, ,,კონფერენციის ორგანიზება“ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი;
- „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სტაჟირების კონკურსის მონაწილეთა საპროექტო განაცხადების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ,,სეზონური სკოლის მოწყობის“ კომპონენტის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.